ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4083519

ნომერი: AR1611080

თარიღი : 25.06.2018

გაცემის თარიღი : 23.07.2018

გაცნობის თარიღი : 23.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 68;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზი მეგენეიშვილი პ/ნ 01012003276
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 48

ორგანიზაცია:

- აღმაშენებელი 2011 კოდი: 206349619

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981850 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 25 ივნისს №AR1611080 განცხადებით მომართა რამაზი მეგენეიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981850 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981850 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N68, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.72.14.034.345) სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 28 ივნისის №4039227 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 28 ივნისიდან 2020 წლის 28 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981850 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენბლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აღნიშნავს რომ კომერციული ფართობი - 8965.2-ის ნაცვლად უნდა იყოს - 8967.4 კვ.მ, საოფისე ფართობი - 3143.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 3176.8 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 3417.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3338.6 კვ.მ, შესაბამისად, საერთო ფართობი - 27072.3- ის ნაცვლად უნდა იყოს - 27029.3 კვ.მ. ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981850 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კომერციული ფართობი: 8967.4 კვ.მ, საოფისე ფართობი: 3176.8 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 3338.6 კვ.მ, საერთო ფართობი: 27029.3 კვ.მ. ამავე ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +3.40, +7.70, +12.00 და +16.30 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით. სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981850 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3981850 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.